2025 წლის 13 აგვისტოს შპს „გლობუსის” (ს/კ 406268186, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120060) მიმართ გამოყენებული ჯარიმის გამოქვეყნებასთან დაკავშირებული საკითხის განახლება: 10 ოქტომბერი 2025 წელი

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2025 წლის 13 აგვისტოს „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული ცალკეული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 18 აპრილის №99/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სესხის გამცემი სუბიექტი - შპს „გლობუსის“ (ს/კ 406268186, რეგისტრაციის ნომერი სგს-0120060) მიმართ დაკისრებული ფულადი ჯარიმის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, „ფინანსური ორგანიზაციების მიერ კრედიტის ამოღებასთან დაკავშირებული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის №14/04 ბრძანებით დამტკიცებული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევისთვის (ხუთი შემთხვევა) სესხის გამცემ სუბიექტ შპს „გლობუსს“ დაეკისრა ფულადი ჯარიმა.

ზემოაღნიშნული ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი 2025 წლის 29 სექტემბერს სესხის გამცემი სუბიექტი შპს „გლობუსის“ მიერ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.